



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ი/  
1976/2

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

2 · 1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА

15663

ეძღვნება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის  
დაბადების 100 წლისთავს

*Посвящается 100-летию со дня рож-  
дения академика И. А. Джавахишвили*



თბილისი  
ТБИЛИСИ

2 · 1976

კ. მარქსის სახ. ს.ე. სსრ  
სახელმწიფო სარეზერვუარო  
ბიბლიოთეკა

ს ა რ ე ლ ა ქ ე ტ ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,  
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე).  
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,  
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),  
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე  
Ответственный секретарь Э. Вашакидзе

---

რ ე დ ა ქ ე ტ ი ო ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37—95—50 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.VII.76; შეკვ. № 900; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 19.08; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 16.55; უც 00027; ტირაჟი 1500.  
ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

\*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

გურამ აბრამიშვილი


ატენის სიონის უცნობი წარწერები

ატენის სიონში დაცული ლაპიდარული და ფრესკული წარწერების უმეტესობა კარგაზნაია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>1</sup>. წარწერების ერთი ნაწილი, რომლებსაც ამ ბოლო დროს მივაკვლიეთ, საყურადღებო აღმოჩნდა როგორც საკუთრივ ეპიგრაფიკის თვალსაზრისით, ისე ატენის სიონთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გასარკვევად. ჩვენი წერილი ატენის სიონის ორი უცნობი წარწერის პუბლიკაციას ისახავს მიზნად<sup>2</sup>.

1. ტაძრის ინტერიერში, ჩრდილო-აღმოსავლეთის კამერის (სამკვეთლო) წინ, ნახევარწრიული ნიშის ჩრდილოეთის ფრთაზე, ბათქაშზე ამოკარგულია სამსტრიქონიანი ქართული ნუსხური წარწერა (სურ. 1). ცალკეული მონაკვეთების დაზიანების მიუხედავად, წარწერა მთლიანად იკითხება:

- |                                       |                                    |
|---------------------------------------|------------------------------------|
| 1. <b>ԱՅԻՔ ԾԷՆԻՍԿԷ</b>                | ორმა დასუა                         |
| 2. <b>ԿԻՏԱՆԻՍԻԱՆ — ՈՂ</b>             | ქრონიკონი — ნე (=155)              |
| 3. <b>ՉԵՆԵԿԵՐՈՒԾԵՆ ԿՈՒՐԻ — ԿԱՄՈՒ.</b> | დასაბამითგან წელნი — ხულთ (=6439). |

ორივე ქრონოლოგიური აღნიშვნა 835 წელს უდრის ( $780 + 55 = 835$ ;  $6439 - 5604 = 835$ ), რაც წარწერის თარიღს მყარ საფუძველს აძლევს.



სურ. 1

წარწერის უმნიშვნელო შინაარსის მიუხედავად, იგი საყურადღებოა თარიღის შემცველი ნუსხური დამწერლობის ნიმუშების ქრონოლოგიის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ნუსხური დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ყვე-

<sup>1</sup> M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans L'Arménie, VI, S. Pt, 1847—48, გვ. 21—25; დ. ბაქრაძე, ისტორიკული შენიშვნა, გზ. „ივერია“, № 8, 1886; მისივე, ისტორია საქართველოს, I, ტფ., 1889, გვ. 218, 219. И. А. Джавахов, К вопросу о времени построения грузинского храма в Ате, ни по вновь обследованным эпиграфическим памятникам, „Христианский Восток“, т. I, вып. III, СПб., 1912, გვ. 277—297; ს. ბარნაველი, ატენის სიონის ახალი წარწერები, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ VI, № 2, თბ., 1946, გვ. 83—89; თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 3—64; Ш. Я. Амри-нашвили, История грузинской монументальной живописи, Тб., 1957, გვ. 77—98.

<sup>2</sup> ორივე წარწერა 1969 წელს შევნიშნეთ.

ლაზე ადრინდელი თარიღიანი ძეგლი — სინას მრავალთავის ანდერძი, 864 წელს განეკუთვნება<sup>3</sup>.

როგორც ირკვევა, ატენის სიონის ნუსხური წარწერა სინას მრავალთავის ანდერძზე 29 წლით ადრე შეუსრულებიათ და ჯერჯერობით ნუსხური დამწერლობის უძველეს თარიღიან ძეგლს წარმოადგენს.

2. ატენის სიონის აღმოსავლეთის ფასადის შვერილზე, ჩრდილოეთის წახნაგში გაპრილი სარკმლის ქვედა ზღვარიდან მარჯვნივ, ქვის მომცრო ფილაზე (15,5×16,5 სმ) ამოკვეთილია სამსტრიქონიანი ქართული წარწერა, რომელიც კარგად არის დაცული და მისი წაკითხვა სიძნელეს არ წარმოადგენს (სურ. 2). წარწერის შინაარსი ასეთია:

- 1. **† 𐌕𐌆𐌕 𐌕𐌆𐌆**
- 2. **𐌖𐌆𐌕 𐌆𐌕 𐌕𐌆𐌕**
- 3. **𐌕𐌆 𐌆𐌕𐌆𐌕**

ქ: ესე კალა —  
 პ(ო)ტი მე, ბაგრ —  
 ატ შევქმენ.

† 𐌕𐌆𐌕 𐌕𐌆𐌆  
 𐌖𐌆𐌕 𐌆𐌕 𐌕𐌆𐌕  
 𐌕𐌆 𐌆𐌕𐌆𐌕

სურ. 2

ბადის ქვედა-მეოთხე ხაზამდეა ჩამოზიდული **𐌕, 𐌕, 𐌕, 𐌕, 𐌕, 𐌕** (ბ, გ, ე, ვ, ტ, შ) ასოთა ქვედა მონაკვეთები.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ასომთავრულ მრგვლოვანთან შედარებით IX—XI საუკუნეებისა და, ჩვეულებრივ, მერმინდელი ნუსხა-ხუცურიც უკიდურესად კუთხოვანი დამწერლობაა“<sup>4</sup>. მკვლევრის დახასიათებით, „ნუსხა-ხუცურ დამწერლობას ორი ზოგადი დამახასიათებელი თვისება აქვს. ასომთავრულთან შედარებით ის ოდნავ მარჯვნივ გადახრილი დამწერლობაა. ეს მარჯვნივ გადახრილობა ყველა ასოს ემჩნევა მთლიანადაც და მეტადრე ასოთა ზედა და ქვედა ტანსა და უფრო ძლიერად ბ, გ, ე, მ, ნ, ტ, ც, ხ და ფ ასოებს... მეორე დამახასიათებელ თვისებად უნდა ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა ჩაითვალოს“<sup>5</sup>. ასეთ დამწერლობას ივ. ჯავახიშვილი ნუსხა-ხუცურ კუთხოვან დამწერლობას უწოდებს<sup>6</sup>, რომელთა ასოები, მკვლევრის დაკვირვებით, „ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ზოგმა მათგანმა ზევით აიწია, ზოგი ძირს ჩამოეშვა, ზოგი დაპატარავდა და ზოგამაც, ბუნის სიმაღლის დაცვის მხრივ, დიდტანიანობა მიანიც შეინარჩუნა“<sup>7</sup>.

წარწერა ოთხხაზოვანი სისტემის ბადეშია განაწილებული. ასოები კუთხოვანია და მათი ზედა და ქვედა ბუნები მარჯვნივაა გადახრილი. ოთხხაზოვანი ბადის მეორე და მესამე ხაზებს შორის მოთავსებულია **ტ, მ, 𐌕, 𐌖** (ა, ლ, ი, პ) ასოები. პირველ ხაზამდე აღის **𐌕, 𐌕, 𐌕, 𐌕** (ე, მ, რ, ს) ასოთა ბუნები, ხოლო ოთხხაზოვანი

<sup>3</sup> სინას მრავალთავის ანდერძის დაბოლოება ნუსხურითაა შესრულებული. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 175; ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1949, ტაბ. 12 (1).

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 122.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 188.

ჩვენი წარწერა, ყველა ნიშნით ნუსხური კუთხოვანი დამწერლობის ნიმუშია. წარწერა არც თარიღს შეიცავს და არც რაიმე ქრონოლოგიურ მითითებას, ამდენად, მისი შესრულების დრო მხოლოდ პალეოგრაფიული ანალიზით უნდა განესაზღვროთ.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ატენის სიონის 835 წელს შესრულებული ნუსხური წარწერა ასეთი რიგის დამწერლობის თარიღიან ძეგლთა შორის ჯერჯერობით ყველაზე ადრეული ხანის ნიმუშია. IX საუკუნეზე ადრეული ხანის ნუსხური დამწერლობის ძეგლი ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. ამდენად, კალაპოტის შემქნელი ბაგრატის წარწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი, პირობითად, ამ ხანით შეიძლება შემოვფარგლოთ.

წარწერა ოთხხაზოვან ბადეში განაწილებისა და ოდნავ მარჯვნივ გადახრილი კუთხოვანი ასოების მიუხედავად, ასომთავრულის ერთგვარ იერსაც ატარებს. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას **ღ** (ბ) და **ღ** (გ) ასოების მიმართ, რომლებიც ნუსხურში სხვაგვარად გამოისახებიან (**ყ**, **ფ**), მაგრამ ამავე დროს ისინი ნუსხურისათვის დამახასიათებელ ელემენტებსაც შეიცავენ. ასე მაგალითად: განის (**ღ**) ცხვირი ისე ენერგიულადაა ქვევით ჩამოზიდული, რომ ღანის (**ი**) სრულ შთაბეჭდილებას შექმნიდა, გრძელი კუდი რომ არა ჰქონდეს. ნუსხური დამწერლობის იერი აქვს **ე** (ტ) ასოსაც, რომელიც ჩვენ წარწერაში ორჯერ გვხვდება. რაც შეეხება ლასს (**ს**), იგი მკაფიოდ ჩამოწკვთული ნუსხური ასოა.

წარწერა პალეოგრაფიულად მსგავსებას პოულობს ქილ-ეტრატის იადგართან, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება<sup>8</sup>. მათ შორის მხოლოდ ის სხვაობაა, რომ იადგარში განს (**ღ**) დაკბილული კუდი აქვს, ნაცვლად ატენის სიონის წარწერის ცერად ჩამოზიდული სწორი ხაზისა. იადგარის **ხ** (ლ) ისე მკაფიოდ გამოხატული ნუსხა-ხუცური მოხაზულობისა არ არის, როგორც ატენის სიონის წარწერაშია. **ე** (ტ) ასოს თავი ატენის წარწერაში სამკუთხედის ფორმისაა. იადგარშიც გვხვდება ასეთი სახის ტარი (**ე**), მაგრამ მისი კუთხები ერთგვარად შერბილებულია და ბლაგვია.

X ს-ის ეპიგრაფიკაში ხშირად ვხვდებით ასომთავრულ ტექსტში ჩართულ ნუსხურ ასოებს, განსაკუთრებით ლასსა (**ს**) და თანს (**თ**). ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 90წ წლით დათარიღებული ერედვის ასომთავრული წარწერა, რომლის პირველ ორ სტრიქონში ორჯერ არის გამოყენებული ნუსხური ლასი (**ს**), ხოლო დანარჩენ შვიდ სტრიქონში ყველგან ასომთავრული **ხ** (ლ) ასოა ნახმარებ. ატენის სიონის ზღუდის მშენებლობის მაუწყებელ ორსავე ასომთავრულ წარწერაში (945 წ.) მხოლოდ ნუსხური ლასია (**ს**) ჩართული<sup>9</sup>, იგივე ასოა გამოყენებული ატენის სიონის სამხრეთის ფასადზე ამოკვეთილ წარწერაშიც<sup>10</sup>. ზემო სკრის (X ს.)<sup>11</sup>, ოშკისა და ხახულის

<sup>8</sup> ქართული წერის ნიმუშები, ტაბ. 10.

<sup>9</sup> რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, Ars Georganica, 4, თბ., 1955, გვ. 111, ტაბ. 9.

<sup>10</sup> თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 35, 36, სურ. 21.

<sup>11</sup> თ. ბარნაველი, დსახ. ნაშრომი, გვ. 53, სურ. 30.

<sup>12</sup> P. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1962, გვ. 93, სურ. 6°.



(X ს-ის მეორე ნახევარი)<sup>13</sup>, ქორეთის (1000 წ.)<sup>14</sup>, დოდოთის (X-XI სს მიჯნა)<sup>15</sup>, იყალთოს წმ. სტეფანეს ეკლესიის (X-XI სს. მიჯნა)<sup>16</sup>, ზეისის (1002 წ.)<sup>17</sup>, ზედაზნის კანკელის (XI ს-ის პირველი ნახევარი)<sup>18</sup>, სათხის ეკლესიის (X-XI სს მიჯნა)<sup>19</sup> და სხვა ასომთავრულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ვხვდებით ნუსხური ლასის (მ) გამოყენებას, რაც ამ ხანის ერთ-ერთი პალეოგრაფიული ნიშანი უნდა იყოს.

ჩვენი წარწერის პალეოგრაფიულმა მსგავსებამ X ს-ის ქილ-ეტრატის ზატიკთან, აგრეთვე, X-XI საუკუნეთა მიჯნისა და, უპირატესად, X ს-ის მიწურულის ეპიგრაფიკულ ძეგლებში ნუსხური ლასის (მ) გამოყენებამ დაგვარწმუნა, რომ ატენის სიონის ეს წარწერა X ს-ის მიწურულს ან X-XI საუკუნეთა მიჯნაზეა შესრულებული.

წარწერაში დასახელებული კალაპოტის მნიშვნელობა კარგად არის გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურაში. საბას განმარტებით, კალაპოტი ყალიბს აღნიშნავს<sup>20</sup>. ივ. ჯავახიშვილი მშენებლობის ტერმინების განმარტების დროს აღნიშნავს, რომ „თალის გასაკეთებლად საჭირო იყო თალის ჩარჩო. ძველად ამას კალაპოტი ეწოდებოდა. დავით აღმაშენებლის ანდერძში მხოლოდ ასეთი ტერმინია ნახმარი. თანამედროვე მეტყველებაში კი ჩარჩო იხმარება, რადგან თალის ჩარჩოზე გადავლება, ანუ გადატანა, ანდა გადაყვანა, თალის გამოყენა და თალის შეკვრამართლ ამ ჩარჩოს დადგმით შეიძლება“<sup>21</sup>. მკვლევრის დაკვირვებით, მშენებლობის დროს, „როდესაც კალაპოტი (= ნაღვი, — Δ: ἴγυρα: 106) უნდა გაეკეთებინათ წინასწარ, ამას ვაყრა ეწოდებოდა, და შემდეგ, როდესაც გახსნიდნენ, ამას გამოყრას ეტყოდნენ“<sup>22</sup>.

სამშენებლო ხელოვნებაში კალაპოტის შექმნის მნიშვნელობა კარგად ჩანს დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმის მონასტრისადმი 1123 წელს მიცემულ ანდერძში. როგორც ცნობილია, შიო მღვიმის მონასტერში დავით აღმაშენებელმა დაიწყო ეკლესიის მშენებლობა, რომლის შესახებაც ამბობს თავის ანდერძში: „თუ მე ღირს-მყოს ღმერთმან ენკენობა მისი ვიხილო, კურთხეულ არს სულგრძელობა მისი, თუ არა — არსენის ბერსა, რომელ აქუს კოსტანატი და პერპერაჲ, კალაპოტი გამოუყარონ, მოლესენ, მოხატონ, და ძემან ჩემმან დემეტრე, თანადგომითა კურთხეულია მწიგნობართ —“

<sup>13</sup> E. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб., 1952, გვ. 61, სურ. 28, გვ. 71, სურ. 36, 37, 38.

<sup>14</sup> ვ. ვაფრინდაშვილი, 1000 წლის სამშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიაზე, „ძეგლის მეგობარი“, 21, თბ., 1970, გვ. 54—61.

<sup>15</sup> რ. მეფრისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115, სურ. 11, ტაბ. 46.

<sup>16</sup> კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველი, თბ., 1961, გვ. 35, 36. სურ. 21.

<sup>17</sup> P. Шмерлинг, Древний Цвиометский храм близ сел. Хциси, Ars Georgica, 4, ტაბ. 54.

<sup>18</sup> თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68, სურ. 21.

<sup>19</sup> ვ. დოლიძე, სათხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, Ars Georgica, 7, თბ., 1971, ტაბ. 48.

<sup>20</sup> ს. ორბელიანი, ლექსიკონი.

<sup>21</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, I, თბ., 1946, გვ. 102.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 156.

უხუცესისა და ჩემთა ბერთაჲთა, აკურთხონ კელითა იოანე ქართლისა კათალიკონისათა“<sup>23</sup>.

ეჭვს გარეშეა, კალაპოტის აგება (შექმნა) და დაშლა (გამოყრა) სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი რომ არ ყოფილიყო, დავით აღმაშენებელი ასე საგანგებოდ არ აღნიშნავდა თავის ანდერძში.

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ ატენის სიონის წარწერაში ტაძრის მშენებლობისათვის აუცილებელი სამუშაოს შესრულებაზე — კალაპოტის აგებაზეა მითითება, რომელიც ვინმე ბაგრატს შეუქმნია X ს-ის მეორე ნახევარში ან X-XI საუკუნეთა მიჯნაზე. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ აქ ტაძრის თავდაპირველი მშენებლობისათვის შექმნილი კალაპოტი ვიგულისხმით, რადგან წარწერა პალეოგრაფიულად VII ს-ის ნიმუშად ვერ ჩაითვლება.

თავის დროზე ვაჩვენეთ, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვრად მიჩნეული თოდოსაკი მხოლოდ სარესტაერაციო სამუშაოების მწარმოებელია, რომლის ხელმძღვანელობით X ს-ის მეორე ნახევარში საფუძვლიანად შეუკეთებიათ დროთა განმავლობაში დაზიანებული ტაძრის ფასადებისა და გუმბათის ყელის პერანგი, ხოლო ძველი სკულპტურული რელიეფების მნიშვნელოვანი ნაწილი ახლით შეუცვლიათ<sup>24</sup>.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, ბუნებრივად უნდა ჩანდეს, რომ ბაგრატის მიერ X ს-ის მიწურულს ან X—XI საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი კალაპოტი ატენის სიონში ამ დროს წარმოებულ სარესტაერაციო სამუშაოებს დაევკავშიროთ. ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ატენის სიონის სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთ ნიშაში მოთავსებული როგორც თოდოსაკის სომხური სამშენებლო წარწერა, ისე მის გვერდით ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა კვეთის ერთგვაროვანი დახვეწილი მანერიოთაა შესრულებული და ორივე წითელი საღებავითაა შეღებილი (სურ. 3).

დიუბუამ პირველმა მიაქცია ყურადღება ზემოაღნიშნული ქართული და სომხური წარწერების კვეთის ერთგვაროვან მანერას და დაასკვნა, რომ ისინი ერთი და იმავე დროისა და ერთი ხელით არის შესრულებული<sup>25</sup>.

ორსტრიქონიანი ქართული წარწერა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში XI ს-ის პირველი ნახევრის ეპიგრაფიკულ ნიმუშად არის მიჩნეული, რადგან ზოგიერთი ასოს კიდურები დეკორაციული სამკუთხა ნაკეთებთაა დაბოლოებული<sup>26</sup>.

<sup>23</sup> ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 13.

<sup>24</sup> Г. Абрамишвили, Два строительных периода Атенского Сиона, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1972, № 1, გვ. 32—55.

<sup>25</sup> Fr. Du bois de Montpereux. Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkazes, en Colchide en Géorgie, en Arménie et en Crimée, III, Paris, 1839—1843, გვ. 914.

<sup>26</sup> თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.



უნდა აღინიშნოს, რომ IX-X საუკუნეთა მიჯნიდან და, განსაკუთრებით, X ს-ის მეორე ნახევრიდან გვხვდება მსგავსი დეკორაციული ელემენტებით გაფორმებული წარწერები, რაც უფრო მკაფიოდ X ს-ის მიწურულსა და XI ს-ის დასაწყისში იჩენს თავს. ასეთებია: უდეს სტელისა (IX ს.)<sup>27</sup> და იშხნის საწინამძღვრ ჯვრის (973 წ.)<sup>28</sup>, შებაკის (X ს.)<sup>29</sup>, საყდრის საკურთხეველის წინ აღსამართავი ჯვრის (X ს-ის მეორე ნახევარი)<sup>30</sup>, ნაყურალეშის (X ს-ის მეორე ნახევარი)<sup>31</sup>, ლაგურკას ღვთისმშობლის ხატის (X ს-ის დასასრული)<sup>32</sup> წარწერები, რომლებიც მსგავსი დეკორაციული ნაკვეთებით არიან გაფორმებული. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებს, ასეთი დეკორაციული ელემენტები ასომთავრულში IX ს-ის მიწურულიდან დასტურდება. X ს-ის პირველ ნახევარში მსგავსი დეკორაციული ნაკვეთებით შემკული ასოები აღარ გვხვდება, ხოლო იმავე საუკუნის მიწურულში, განსაკუთრებით კი X-XI საუკუნეთა მიჯნაზე კვლავ ჩნდება.

დიუბუამ, ჩვენი აზრით, სწორად შენიშნა ერთი ოსტატი კალიგრაფის ხელი, რომელსაც სომხური და ქართული წარწერები შეუსრულებია. ამ-დენად, ქართული წარწერა სომხური სამშენებლო წარწერის სინქრონულად უნდა მივიჩნიოთ.

თავის დროზე ვაჩვენეთ, რომ თოდოსაკის სომხური სამშენებლო წარწერა X ს-ის მიწურულს განეკუთვნება<sup>33</sup>. ამავე დროს უნდა იყოს შესრულებული ზემოთ აღნიშნული წარწერის გვერდით ამოკვეთილი ქართული წარწერაც, რომელიც, მისი დაზიანების მიუხედავად, ასე იკითხება:

1. ႠႰႠႢႠႣ — — ႠႢႠႢႠႣ „წ(მი)დ(ა)ო ა[დიდე] ბ(ა)გ(რა)ტ  
 2. ႠႢ — — ႠႢႠႢႠႣ დ(მრ)თ[ისმშო]ბ(ე)ლო<sup>34</sup>“

თუ სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ ბაგრატის მიერ X ს-ის მეორე ნახევარში „შექმნილი“ კალაპოტი ატენის სიონში ამავე პერიოდში წარმოებული სარესტავრაციო სამუშაოების მიზნით იყო აგებული, შესაძლოა კიდევ ვიფიქროთ, რომ სომხური სამშენებლო წარწერის გვერდით დაუსახელებიათ კალაპოტის შემქმნელი ბაგრატი.

თოდოსაკის მიერ შესრულებულ რელიეფზე ავტორის ხელმოწერა<sup>35</sup> დიდად განსხვავდება კალიგრაფიულად და ტექნიკურად მაღალ დონეზე შესრულებულ სომხურ სამშენებლო წარწერისაგან, რომელშიც თოდოსაკი თავს ტაძრის მშენებლად აცხადებს. ასეთივე სხვაობა ჩანს კალაპოტის შემქმნელი ბაგრატისა და სამშენებლო წარწერის გვერდით მოთავსებულ ბაგრატის წარწერებს შორის. რაც იმით არის გამოწვეული, რომ სამშენებლო წარწერას, როგორც თავის დროზე ვაჩვენეთ<sup>36</sup>, ამ საქმეში გაწაფული ოსტატი-კალიგრა-

<sup>27</sup> დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

<sup>28</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, ტაბ. 58.

<sup>29</sup> დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

<sup>30</sup> Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 40, 41.

<sup>31</sup> იქვე. ტაბ. 42.

<sup>32</sup> იქვე. ტაბ. 55.

<sup>33</sup> Г. Абрамишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—55.

<sup>34</sup> წაკითხვა ეკუთვნის თ. ბარნაველს, იხ. მისი ატენის სიონის წარწერები, გვ. 55.

<sup>35</sup> Г. Абрамишвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 4.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 35, 36.

ფი ასრულებს, რომელსაც სომხურ წარწერასთან ერთად კალაპოტის შემკმენელი ბაგრატის წარწერაც ამოუკვეთია.

Г. В. АБРАМИШВИЛИ

## НЕИЗВЕСТНЫЕ НАДПИСИ АТЕНСКОГО СИОНА

Резюме

В работе впервые публикуются две надписи, выявленные в интерьере и на фасаде Атенского Сиона.

I. Надпись в интерьере 835 года содержит лишь дату и является древнейшим образцом древнегрузинского строчного письма — нусхури.

II. Надпись на восточном фасаде, которая содержит сведения о создании «калапоты» (кружала — деревянной конструкции, используемой при возведении арок), по палеографическим данным датируется второй половиной X века.

Создатель «калапоты» Баграт автором статьи идентифицируется с Багратам другой древнегрузинской надписи, исполненной рядом и в одной манере с армянской строительной надписью Тодосака. В работе высказывается предположение, что упомянутый в этих двух надписях Баграт участвовал в реставрационных работах Тодосака, для чего и был сооружен им «калапоты» (кружала).